ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

L.SAKVARELIDZE NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

Legal Entity of Public Law

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი, #99, ტელ: (+995-32) 116 001; ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; ვებ.გვერდი: www.ncdc.ge
99, Kakheti Highway, Tbilisi, 0198, Georgia, Phone: (+995-32) 116 001; E-mail: ncdc@ncdc.ge; Web: www.ncdc.ge

შპს „გრინლანდია"- ს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების შესახებ სკრინინგის 11.09.2019 წლის #11-09/19 განცხადებაზე გადაწყვეტილება

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ეროვნული ცენტრი) ''გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფსების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე - 4 მუხლის შესაბამისად განიხილა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ლევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 2019 წლის 16 სექტემბრის № 01/16228 წერილით გადმოგზავნილი შპს „გრინლანდიას" დირექტორის ზურაბ წვერიკმაზაშვილის № 11-09/19 სკრინინგის განცხადება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების შესახებ, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩის მიმდებარედ, 110,000კვმ-ზე საცხოვრებელი კომპლექსის 4-5 სართულიანი სახლების მშენებლობისა და ექსპლუატაციის თაობაზე.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩის მიმდებარედ შპს „გრინლანდია" ფლობს 20 ჰექტარ მიწის ნაკვეთს. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის #76 განკარგულებით, ზემოაღნიშნულ ნაკვეთებზე დაუმტკიცდა ინდივიდუალური, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალება, რომლის 3,7 ჰექტარზეც შემდგომში, დაუმტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა და გაიცა საამშენებლო ნებართვები.

ამ ეტაპზე განმცხადებელი ითხოვს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროებაზე გადაწყვეტილებას საპროექტო არეალზე/ტერიტორიაზე - 110,000 კვმ-ზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ა. ვარაზის I შესახვევში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე. აღნიშნულ 110,000კვმ-ზე არ არის წარმოდგენილი თბილისის საკრებულოს მიერ გაცემული საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცდების შესახებ გადაწყვეტილება.

გასათვალისწინებელია, რომ "საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე -3 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის და მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით ზოგადი დებულებანი, პუნქტი 4-ის შესაბამისად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარებისათვის პასუხისმგებელია დამგეგმავი ორგანო - ადმინისტრაციული ორგანო ან სხვა უფლებამოსილი ორგანიზაცია, რომელიც, შესაბამისი ნორმატიული აქტის თანახმად, პასუხისმგებელია სტრატეგიული დოკუმენტის მომზადებისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცდებამდე შპს „გრინლანდია"-ს კუთვნილ 110,000კვმ ნაკვეთებზე, ეროვნული ცენტრი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოკლებულია შესაძლებლობას, შპს „გრინლანდია"-ს განცხადებაზე მიიღოს გადაწყვეტილება **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების შესახებ** .

გენერალური დირექტორი ამირან გამყრელიძე